ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №148386

ნომერი: AR144086

თარიღი : 25.04.2012

გაცემის თარიღი : 02.05.2012

გაცნობის თარიღი : 03.05.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსლან გერგედავა პ/ნ 62004000120
- სოხუმი ა.წერეთლის ქ. N 22 ბ. 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთლი დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:
ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, ქალაქის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს შესაძლებლად არ მიაჩნია წარმოდგენილო ფოტომონტაჟის მიხედვით შენობა–ნაგებობის განთავსება, წარმოდგენილი ვიზუალური მხარე საჭიროებს არქიტექტურული იერსახის მეტად დახვეწა–გადამუშავებას, როგორც არქიტექტურულ–მოცულობითი თვალსაზრისით, ისე მოსაპირკეთებელი მასალების, ფანჯრის ღიობების მოწყობის, ასევე ფერის გადაწყვეტის ნაწილში, მიუღებელია ფანჯრის ღიობებზე გისოსების მოწყობა, ასევე ყრუ კარის მოწყობა, სასურველია გამოყენებულ იქნას თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები და წარმოდგენილ იქნას შენობის მოცულობით–არქიტექტურული გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტი.
აქვე გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა გაითვალისწინოთ და წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:
1. ".მოთხოვნის შინაარსის ტექსტში" დაფიქსირდეს შენობის ფუნქცია.
2. "ფოტომონტაჟი"–ს ველში აიტვირთოს ახალი ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შენობის გაბარიტული (სიგრძე, სიგანე, სიმაღლე) ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით. აგრეთვე ფოტომონტაჟზე დეტალურად უნდა იყოს მითითებული საპროექტო კიბის ზომები, ვინაიდან საკადასტრო საზღვარი გადის ზედ არსებული ღობის კონტურზე და საპროექტო დავალებით გათვალისწინებული კიბეები ეწყობა საკადასტრო საზღვრების გარეთ, ქალაქის ტერიტორიაზე გაითვალისწინეთ, რომ 6 კვ.მ-მდე ფართობით საზოგადოებრივ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების მონტაჟის ან/და არსებულ შენობა-ნაგებობებზე სამუშაოების წარმოებაზე თანხმობას გასცემს ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური, ხოლო თუ ტერიტორია აღემატება 6 კვ.მ-ს დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა.
3. წარმოსადგენია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შპს "კომბინატი 13"–ის მიერ გაცემული თანხმობა შენობა–ნაგებობის განთავსებასთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლებელია აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში" (თქვენს მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულებით შენობა–ნაგებობის განთავსება გათვალისწინებული არ არის).

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.